თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7333533

ნომერი: AR11071549

თარიღი : 24.12.2024

გაცემის თარიღი : 25.12.2024

გაცნობის თარიღი : 26.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნანსყანი პ/ნ 01027077355
- ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. კვ. 5, კორპ. 7, ბინა 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 24 დეკემბერს №AR11071549 განცხადებით მომართა გიორგი ნანსყანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 0 8 აგვისტოს №6069934 ბრძანებით №01.17.13.051.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 8 აგვისტოდან 2025 წლის 8 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი: 228.25 კვ.მ.

სამსახურის 2023 წლის 13 სექტემბრის №6661584 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანების ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა: 2654.04 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 852.38 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 1996.98 კვ.მ., საერთო ფართობად: 22285.6 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა, -3.60 და +0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2023 წლის 12 სექტემბრის №AR1989255 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმითა და ამავე ნიშნულების გეგმებით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად 1996.98 კვ.მ-ის ნაცვლად 1996.7 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 22285.6 კვ.მ-ის ნაცვლად 22285.32 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, წარმოდგენილი -3.60 და +0.00 ნიშნულის გეგმების ჩანაცვლებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ -3.60 და +0.00 ნიშნულის გეგმაზე ხდება ავტოსადგომების ინდივიდუალური სადგომების ფართობების დაზუსტება. საპროექტო დოკუმენტაციაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არასწორად იქნა წარმოდგენილი, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს: 1996.7 კვ.მ., საერთო ფართობად: 22285.32 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანებით შეთანხმებული -3.60 და +0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 08 აგვისტოს №6069934 და 2023 წლის 13 სექტემბრის №6661584 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.